საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/59 "15" თებერვალი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-20 მუხლის:

ა) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

დ) საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია.

4. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, ასევე განიხილავს სამართალწარმოების დასრულების შემდეგ სასამართლოში შესულ შუამდგომლობებს, წარდგინებებსა და სხვა საკითხებს.

5. საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ატარებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და წინასასამართლო სხდომებს, განიხილავს გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობებსა და გამოძიების ეტაპთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.";

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6-მე-7 პუნქტები:

„6. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 99 მოსამართლით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 33 მოსამართლით;